



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI



ოქმი: 065.6521341001

თარიღი: 07/12/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი
სხდომის ოქმი N 1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 03.12.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიხსნა 12 საათზე. სხდომა გახსნა ვანის N53 საოლქო კომისიის თავმჯდომარემ - **ზაზა გიორგაძემ**.

სხდომას ესწრებოდა ახლადარჩეული საკრებულოს წევრობის 30 კანდიდატი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, დავით ხარძეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თეონა ადგიშვილი, გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, თამარ შენგელია, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, ტარიელ ბარამიძე, კობა ძაგნიძე, გრიგოლ მატარაძე, თორნიკე ერისთავი, ნატო დვალაი, დავით კაკაბაძე, ალექსანდრე მჭავანაძე, ლიზა ტყეშელაშვილი, ილია დვალაიშვილი, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, ლანა გოგოძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, გელა ღვიტიძე, გიორგი ტყეშელაშვილი, შოთა გიორგაძე, ბიჭიკო პაიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს პარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგელიძე**.

საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - **ნიკოლოზ დვალაიშვილი**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის N53 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება არჩევნების შედეგების შესახებ;
2. სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;

3. ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;

4. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

5. შესვენება (30 წუთი)

6. საკრებულოში ფრაქციების შექმნის შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე;

7. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

8. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

9. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ;

10. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ;

11. საკრებულოს კომისიებში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ.

12. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

13. შესვენება (15 წუთი)

14. საკრებულოს კომისიების შემადგენლობების ცნობად მიღების თაობაზე;

15. საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ;

მოისმინეს:

1. ვანის N 53 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამსწრეებს გააცნო 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები, როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული (თან ერთვის). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად არჩეულნი არიან დანართი N2-ში ჩამოთვლილი პიროვნებები. მათ შორის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით 10, ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემით 20 (დანართი N2).

საკრებულოს წევრობის კანდიდატმა გრიგოლ მატარაძემ საკრებულოს წევრებს თხოვა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ ბათუმში გარდაცვლილი საკრებულოს წევრის ხსოვნისთვის.

ასევე შალვა ლორთქიფანიძემ ასევე საკრებულოს წევრებს თხოვა წუთიერი დუმილით პატივი ეცათ მერის პირველი მოადგილის გონერი მეფარიშვილის ხსოვნისთვის და საკრებულოს წევრის ილია დვალიშვილის ტრაგიკულად დაღუპული შვილის ხსოვნისთვის.

2. სამანდატო დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდა სამი კანდიდატურა: დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, კობა ძაგნიძე. კომისია არჩეული იქნა ღია კენჭისყრით ერთხმად.

3. ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდა სამი კანდიდატურა: ივანე კორძაძე, ლია დიასამიძე, ტარიელ ბარამიძე. კომისია არჩეული იქნა ღია კენჭისყრით ერთხმად.

გამოცხადდა შესვენება და გაიმართა სამანდატო დროებითი კომისიისა და ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომები. სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა დავით ხარძეიშვილი, მდივნად - თამარ

შენგელია (ოქმი თან ერთვის); ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ივანე კორძაძე, მდივნად - ლია დიასამიძე (ოქმი თან ერთვის).

4. ვანის N53 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სამანდატო დროებით კომისიას გადასცა საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარემ დავით ხარძეიშვილმა სხდომას გააცნო კომისიის დასკვნა, რომლის თანახმადაც ცნობილ უნდა იქნას საკრებულოს 30 წევრის უფლებამოსილება თანდართული ერთიანი სიის შესაბამისად (თან ერთვის).

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის საკითხი დაყენებული იქნა ღია კენჭისყრაზე.

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს:

ცნობილ იქნას საკრებულოს 30 წევრის უფლებამოსილება დანართის შესაბამისად.

განკარგულება N გ-65.65213372

ვანის N53 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მიულოცა საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა და სხდომის წარმართვა თხოვა საკრებულოს უხუცესს წევრს ლიზა ტყეშელაშვილს.

ქალბატონმა ლიზამ ჯანმრთელობის პრობლემების გამო უარი განაცხადა სხდომის წარმართვაზე. ღია კენჭისყრით გადაწყდა და სხდომის გაძღოლა დაევალა მომდევნო უხუცეს წევრს ილია დვალიშვილს. მან მიულოცა საკრებულოს ყველა წევრს არჩევნებში მიღწეული გამარჯვება და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

5. სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 30-იანი წუთიანი შესვენება და თხოვა საკრებულოს წევრებს წარმოედგინათ განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია ფრაქციების შექმნის შესახებ.

სხდომის განახლების შემდეგ მასზე არ გამოცხადნენ საკრებულოს წევრები : გრიგოლ მაჭარაძე, თორნიკე ერისთავი, ნატო დვალი, დავით კაკაბაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, ლიზა ტყეშელაშვილი.

6. სამანდატო დროებითმა კომისიამ საკრებულოს აცნობა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს 23 წევრის მიერ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს დაფუძნების შესახებ დოკუმენტაცია (ფრაქციის წესდება და დამფუძნებელი სხდომის ოქმი), რომელიც შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს აცნობა ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ დაფუძნების შესახებ (შესაბამისი დოკუმენტაცია თან ერთვის).

განკარგულება N გ-65.65213373

7. სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებით საკრებულოს წევრებს თხოვა დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-მ ერთხმად დაასახელა ალექსანდრე ლილუაშვილის კანდიდატურა. სხვა

კანდიდატურა დასახელებული არ ყოფილა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 24 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 1 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ალექსანდრე ლილუაშვილი.

განკარგულება N გ-65.65213374

საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ საკრებულოს წევრმა კობა ძაგნიძემ დატოვა სხდომა.

სხდომის წარმართვა გააგრძელა ახლადარჩეული საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს მხარდაჭერისათვის.

8. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა გიორგი ივანიასის კანდიდატურა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულ იქნას გიორგი ივანიასი.

განკარგულება N გ-65.65213375

9. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა შოთა გიორგაძის კანდიდატურა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას შოთა გიორგაძე.

განკარგულება N გ-65.65213376

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა დავით ხარძეიშვილის კანდიდატურა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დავით ხარძეიშვილი.

განკარგულება N გ-65.65213377

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნდა განისაზღვროს საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობა. კანონის შესაბამისად, ეს რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში კომისიის წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვროს 6 წევრით, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა -10 წევრით.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“

განკარგულება N გ-65.65213378

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნდა განისაზღვროს საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების რაოდენობა. კანონის შესაბამისად, ეს რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად.

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“- 7

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“

განკარგულება N გ-65.65213379

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი: „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი

სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რადგან საკრებულოს თავმჯდომარეს დაემატა 2 მოადგილე, ასევე დაემატა ტერმინი პირველი მოადგილე, შესაბამისად უნდა შევიდეს ცვლილება დადგენილებაში.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -23

წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი : „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

დადგენილება N21

13. გამოცხადდა შესვენება 15 წუთი, რომლის შემდეგაც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-მ წარმოადგინა საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში ფრაქციის წევრები დადგენილი კვლევის შესაბამისად. ასევე საკრებულოს აპარატმა წარმოადგინა კობა ძაგნიძის განცხადება საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიაში გაწევრიანების თაობაზე.

14. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს გააცნო საკრებულოს ხუთივე კომისიის შემადგენლობა და მიღებული იქნა შესაბამისი განკარგულებები (თან ერთვის):

- **განკარგულება N გ-65.652133710** „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“;
- **განკარგულება N გ-65.652133711** „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“;
- **განკარგულება N გ-65.652133712** „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“;
- **განკარგულება N გ-65.652133713** „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“;
- **განკარგულება N გ-65.652133714** „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“.

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს თითოეული კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელებული იქნა გელა ჩიკვაიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გელა ჩიკვაიძე.

განკარგულება N გ-65.652133715

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელებული იქნა გელა ვარდოსანიძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას გელა ვარდოსანიძე.

განკარგულება N გ-65.652133716

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელებული იქნა ვლადიმერ ჭვალაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვლადიმერ ჭვალაძე.

განკარგულება N გ-65.652133717

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელებული იქნა რამაზ არველაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რამაზ არველაძე.

განკარგულება N გ-65.652133718

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელებული იქნა კობა ტოხვაძის კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომლის შედეგები საკრებულოს გააცნო ხმისდამთვლელმა დროებითმა კომისიამ (ოქმი თან ერთვის): ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 23 ბიულეტენი: ნამდვილი -23 , ბათილი - 0 ბიულეტენი. კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კობა ტოხვაძე.

განკარგულება N გ-65.652133719

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს პირველმა რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

